დავით
გეფერიძე



# საერთაშორისო საჰაერო სამართალი

უაკ (UDC) 341.226
გ-431

წიგნში განხილულია თანამედროვე საერთაშორისო საჰაერო სამართლის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები: საერთაშორისო საჰაერო სამართლის ცნების და არსის განსაზღვრის პრობლემები, წყაროები, საჰაერო მიმოსვლის სამართლებრივი რეჟიმები, საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების სამართლებრივი რეგულირების ასპექტები, პრეცენდენტები საერთაშორისო საჰაერო სამართალში.

ნაშრომი განკუთვნილია საერთაშორისო სამართლის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

**სამეცნიერო რედაქტორი**
**ლევან ალექსიძე** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი.

**რეცენზენტი**
**ირინე ქურდაძე** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

**გამოცემის რედაქტორი – მანონ ლუდუშაური**

© გამომცემლობა „მერიდიანი", 2009
© დავით გეფერიძე

ISBN 978-9941-10-096-3

# შინაარსი

საერთაშორისო და სატრანსპორტო სამართალი და საჰაერო სამართალთან დაკავშირებული დარგები....9

თავი I. საერთაშორისო საჰაერო სამართალი....16
§1. თანამედროვე საერთაშორისო საჰაერო სამართლის ცნების და არსის განსაზღვრის პრობლემები....16
§2. საერთაშორისო საჰაერო სამართლის წყაროები....57
§3 საერთაშორისო საჰაერო სამართლის ძირითადი პრინციპები....63
§4. საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის სამართლებრივი რეჟიმი....73
§5. საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის სამართლებრივი რეგულირება....94
§6. მონრეალის 1999 წლის კონვენცია გადაყვანა-გადაზიდვის ინფორმაციის ჩანაწერის გამოყენების საშუალებების შესახებ (ელექტრონული ბილეთი)....99
§7. სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის აქტებთან ბრძოლა....106
§8. საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციები....154
§9. საჰაერო ხომალდებისათვის დახმარების გაწევა....165
§10. საერთაშორისო აერნაოსნობის ადმინისტრაციული ფორმალობები....167
§11. პასუხისმგებლობა საერთაშორისო საჰაერო სამართალში....169
§12. საჰაერო ხომალდისა და ეკიპაჟის სტატუსი....171
§13. საერთაშორისო აეროპორტის ცნება და მნიშვნელობა საერთაშორისო საჰაერო სამართლის მიხედვით....173
§14. კომერციული შეთანხმებები ავისაწარმოებს შორის ჩარტერული გადაყვანა-გადაზიდვების შესახებ....187
§15. საერთაშორისო საჰაერო სამართალი საჰაერო ხომალდის ლიზინგის შესახებ....193
§16. „მოძრავი მოწყობილობების მიმართ საერთაშორისო გარანტიების შესახებ" კონვეციისა და ამ კონვენციის ოქმის – „საავიაციო მოწყობილობათა შესახებ" თაობაზე....197
§17. „ღია ცის" პოლიტიკა. მსოფლიო ტენდენციები....201

თავი II საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების ასპექტები....232

§1. საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვების სამართლებრივი რეგულირების საერთო დახასიათება ........ 235
§2. ვარშავის სისტემა. საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება ........ 275
§3. საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების რეგულირების ახალი ტენდენციები. მონრეალის 1999 წლის კონვენცია ........ 325
თავი III პრეცენდენტები საერთაშორისო საჰაერო სამართალში ........ 398
§1. პიერლატის საქმე ........ 399
§2. გვინეის დელეგაციის საქმე ........ 401
§3. ბრაზინსკასების საქმე ........ 403
§4. ლოკერბის თავზე ინციდენტის საქმე ........ 410
თავი IV საქართველოს საჰაერო სამართალი ........ 421
§1. საქართველოს საჰაერო სამართალის შესახებ ........ 421
§2. საქართველოს საჰაერო კოდექსი ........ 434
§3. საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის შესახებ ........ 494
§4. საჰაერო სამართლის მოქმედი კონვენციები და შეთანხმებები ........ 505
გამოყენებული ლიტერატურა ........ 509
დანართები
- საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ 1944 წლის ჩიკაგოს კონვენცია ........ 522
- საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის სატრანზიტო შეთანხმება ........ 573
- ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და ევროგაერთიანებას შორის საჰაერო მომსახურების გარკვეული ასპექტების შესახებ ........ 581
- საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების ზოგიერთი წესის უნიფიკაციისათვის 1999 წლის მონრეალის კონვენცია ........ 594
- საგნის „საერთაშორისო საჰაერო სამართლის" სასწავლო პროგრამა ........ 628
- Международное воздушное право ........ 634
- Конвенция о международной гражданской авиации (Чикагская конвенция 1944 года) ........ 640



# რედაქტორისაგან

საერთაშორისო საჰაერო სამართალი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. იგი არანაკლებ სერიოზულ როლს ასრულებს შიდასახელმწიფოებრივ სამართალშიც.

დარგი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს ჩამოყალიბდა, სულ მალე ერთ-ერთი ყველაზე რთული და მრავალფეროვანი სფეროს სამართლებრივი რეგულირების საშუალებად იქცა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესაბამისად იზრდება შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანხვედრა და ინტენსიურობა, ფართოვდება გამოყენების არე. გამომდინარე აქედან, ყოველდღიურად იზრდება საჰაერო სამართლის მნიშვნელობაც.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე დღეებში ცხადი გახდა, რომ აუცილებელია ქვეყნის საჰაერო სივრცის გამოყოფა სსრ კავშირის საჰაერო სივრცისაგან და საერთაშორისო სამართლის პირიციპებისა და ნორმების შესაბამისი სამართლებრივი ნორმატიული ბაზის შექმნა. საქართველომ მოახდინა საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ ჩიკაგოს 1944 წლისა და სხვა კონვენციების რატიფიკაცია, გახდა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (იკაოს) სრულუფლებიანი წევრი.

დაგროვდა საკმაოდ დიდი ნორმატიული მასალა, რომლის განზოგადება კარგა ხანია დღის წესრიგში დგას, ამიტომ მივესალმები ახალგაზრდა მეცნიერისა და პედაგოგის დავით გეფერიძის მცდელობას, სისტემაში მოიყვანოს აღნიშნული მასალა და ერთიანი კურსის სახით გამოაქვეყნოს.

წიგნი ეძღვნება თანამედროვე საერთაშორისო საჰაერო სამართალს. მისი მიზანია საერთაშორისო საჰაერო სამართლის რეგულირების პრობლემის შესწავლა და სამართლებრივი რეგულირების შედარებითი ანალიზის გათვალისწინებით საფუძველზე სამართლებრივი რეგულირების საკითხებზე საერთაშორისო სამართლებრივი აქტუალური პრობლემების კვლევა, რომელთა გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ასეთი რეგულირების ეფექტიანობა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია იმ ასპექტების განხილვა და შეფასება, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს საჰაერო მიმოსვლის სამართლებრივ რეგულირებას. აქ, სამართლებრივ ასპექტებთან ერთად, განხილულია ის ფუნდამენტური საკითხები, რომლებიც, უმეტესწილად, განაპირობებენ შესაბამისი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბებას. ასევე, არსებული ლიტერატურის ფონზე, განხილულია ის სამართლებრივი დოკუმენტები, რომელთა შესწავლაც, ჩემი

აზრით, გააიოლებს და ერთიან სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცევს თანამედროვე საერთაშორისო საჰაერო სამართლის ლექციათა კურს.

წიგნის ძირითადი მიზანია საერთაშორისო საჰაერო სამართლის იმ ნორმების მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების კომპლექსური სამართლებრივი ანალიზი, რომლებიც ეხება საერთაშორისო საჯარო საჰაერო და საერთაშორისო კერძო საჰაერო სამართლებრივ რეგულირებას მისი სრულყოფისაკენ მიმართული რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა მრავალმხრივია. ნაშრომში პირველად არის წარმოდგენილი ავიაციის საქმიანობისა და მისი ძირითადი ელემენტის — საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების სამართლებრივი რეგულირების საკითხებზე საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობათა სპეციფიკის ზოგადი კონცეპტუალური ანალიზი, რომლის მიზანია, განსაზღვროს საკვლევ დარგში რეალური საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა.

საქართველოში ამ საკითხის შესწავლა მეტად აქტუალურია, მით უმეტეს არ არსებობს ლიტერატურა, მათ შორის კომპეტენტურ მეცნიერთა ფუნდამენტური ნაშრომები, მათ შორის მონოგრაფიები.

ამასთან საქართველოში მიმდინარე პროცესების მსოფლიო პროცესების კონტექსტში გასააზრებლად გამოყენებულია აღიარებულ უცხოელ მეცნიერთა სათანადო ნაშრომები.

წინამდებარე ნაშრომი დავით გეფერიძის გამოცდილების ნაყოფია, იგი კითხულობს ლექციებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა, შემდეგ იურიდიულ ფაკულტეტზე. ამ ნაშრომში დაწვრილებით არის განხილული საერთაშორისო საჰაერო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, მათი იმპლემენტაცია საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ სამართალში.

წიგნში სასწავლო კურსის პროგრამის შესაბამისად განხილულია საერთშორისო საჰაერო სამართლის რეგულირების უმნიშნელოვანესი ცნებები. სახელმძღვანელოს მნიშვნელოვანი განმასხვავებელი თავისებურებაა ის, რომ მასში შეტანილია თავები თანამედროვე საჰაერო სამართლისა და საერთაშორისო სამართალში მისი ადგილის შესახებ.

დარწმუნებული ვარ, სახელმძღვანელოს მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა როგორც პროფესიონალებისა და მკითხველთა ფართო წრის დიდ ინტერესს გამოიწვევს, მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სტუდენტებს წიგნში განხილულ საკითხების შესწავლაში.

*აკადემიკოსი ლევან ალექსიძე*



## წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომში ვცადეთ საერთაშორისო საჰაერო სამართლის ელემენტარული საფუძვლების სისტემატიზაცია. იგი მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემაა საქართველოში საერთაშორისო სამართლის დარგში და მიზანი მიღწეული იქნება, უპირველეს ყოვლისა, თუ იგი დაეხმარება მომავალ თაობას — სტუდენტებს, სახელმწიფო მოხელეებს, ავიასაწარმოთა მუშაკებს, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის რეგულირებას, სხვა დაინტერესებულ პირებს, გაუადვილოს საერთაშორისო საჰაერო სამართლის შესწავლა, გააგრძელონ საქართველოს საავიაციო ტრადიციები და გახადონ საქართველო მსოფლიო საავიაციო სისტემის ღირსეული წევრი.

განახლებული ნაშრომი დაიწერა საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებისათვის მეტად მძიმე პერიოდში და რთულ ფონზე ვგულისხმობ ლიტერატურის სიმცირეს, დარგში (სამოქალაქო ავიაციაში) გრძელდება, მაგრამ ნელა მიმდინარეობს ახალ საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებზე გადასვლა, სახელმწიფოსამართლებრივი მიდგომის, საერთაშორისო სამართლის ცოდნის ნაკლებობა და ა.შ.

სწორედ ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ მეცადა, ერთის მხრივ, დარგში არსებული სიტუაციის შეფასება და, მეორეს მხრივ, იკაო-სა და სხვა მასალების ფონზე საერთაშორისო სამართლის სისტემაში მიმდინარე პროცესების წარმოჩენა, ზოგიერთი ლექციის კურსის გამოყენება თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის განსახორციელებლად.

ახალი წიგნის მიზანია გააცნოს დაინტერესებულ პირებს (ფიზიკურ, იურიდიულ) საჰაერო სამართლის, როგორც სპეციფიკური დარგის თავისებურებანი.

უფრო დიდი ნაშრომის შედგენისას საჭიროა გამოყენებულ იქნეს პრაქტიკოსი ქართველი სპეციალისტების ნაშრომები და გამოცდილება საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის უფლებამოსილი ორგანიზაციების პრაქტიკა და არსებული მრავალი დოკუმენტი საჭიროა

ვისწავლოთ თანამედროვე საჰაერო სამართალი, საჭიროა სხვათა გამოცდილების გაზიარება.

და ბოლოს:

განსაკუთრებული მადლობა მინდა გამოვხატო აკადემიკოს ლევან ალექსიძის მიმართ იმ თანადგომისა და საინტერესო რჩევებისათვის, რომელიც დიდად დამეხმარა წიგნზე მუშაობისას.

*დავით გეფერიძე*